ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 73

"27" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრისა" და ა(ა)იპ „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის" რეორგანიზაციისა და ა(ა)იპ „კალათბურთის განვითარების სპორტული ცენტრის" შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე -2 პუნქტის, 64- ე მუხლის " ა" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების, 75-ე მუხლის „დ.ბ" ქვეპუნქტისა, „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე- 14[4] მუხლისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 11 მარტის N 10.03.235 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ.თბილისის მერიის მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრისა" და ა(ა)იპ „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის" რეორგანიზაციის (შერწყმის/ გაერთიანების) შედეგად ა(ა)იპ „კალათბურთის განვითარების სპორტული ცენტრის" შექმნის თაობაზე.

2. განკარგულება, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი